

## სტანდარტიზაციის ფრანგული ორგანიზაცია

საფრანგეთში სტანდარტიზაციის ეროვნულ ორგანიზაციას წარმოადგენს სტანდარტიზაციის ფრანგული ორგანიზაცია (AFNOR), რომელზედაც დაკისრებულია შემდეგი ფუნქციები:

- სტანდარტიზაციის საქმიანობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა და კოორდინირება;
- სტანდარტებზე მიღებული შეკვეთების ანალიზი და ახალ სტანდარტებზე მოთხოვნების განსაზღვრა;
- კონტროლი მათ დანერგვაზე;
- სტანდარტიზაციის წლიური პროგრამების შედგენა ეკონომიკის განვითარების ეროვნული პრიორიტეტების გათვალისწინებით;
- პროდუქციის ნიშანდების საქმიანობის მართვა ეროვნული სტანდარტის NF შესაბამისობის ნიშნით;
- სპეციალისტების სწავლება, მომზადება და გადამზადება;
- საფრანგეთის წარმომადგენლობა სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციებში.

სტანდარტიზაციის გარდა AFNOR-ის საქმიანობა შეიცავს სერტიფიცირებას, მეტროლოგიას, ხარისხის მართვასა და კონტროლს.

ესეთია თანამედროვე მიმართულებები, რომლებსაც AFNOR მიუახლოვდა ძირითადად 1980 – 1990 წ.წ.

ეროვნული სტანდარტიზაციის საწყისად საფრანგეთში ითვლება 1918 წ., როდესაც სამთავრობო დეკრეტით შეიქმნა სტანდარტიზაციის მუდმივი კომისია, მიმართული მანქანათმშენებლობის დარგების ნაკეთობების ტიპების უნიფიცირებაზე. ამ AFNOR-ის წინამორბედმა დიდხანს არ იარსება, თუმცა მისი საქმიანობის შედეგები იყო საჭირო და სასარგებლო.

სტანდარტიზაციის ფრანგული ორგანიზაცია შეიქმნა 1926 წელს. მიუხედავად იმისა, რომ ის წარმოადგენდა კერძო არაკომერციულ სტრუქტურას, ის სათავეში ჩაუდგა სტანდარტიზაციის საქმიანობას ქვეყანაში. ამ საქმიანობამ მიიპყრო მთავრობის ყურადღება, რომელმაც 1941 წელს მიიღო კანონი სტანდარტიზაციის კომისიის თანამდებობის შესახებ, რომელიც წარმოადგენს მთავრობას AFNOR-ში.

მთავრობის დაინტერესება სტანდარტიზაციის განვითარებით აშკარაა. ამასთან დაკავშირებით ამ საქმიანობისადმი ყურადღება მუდმივია. სწორედ ამიტომ 1984 წელს მთავრობის დეკრეტით შეიქმნა მრეწველობის სამინისტროსთან არსებული სტანდარტიზაციის უმაღლესი საბჭო, რომელსაც უნდა ეთამაშა შემაკავშირებელი როლი სხვადასხვა სამინისტროებთან და განესაზღვრა სტანდარტიზაციის პრიორიტეტული მიმართულებები, წლიური პროგრამების შედგენაში კონსულტირების წარმართვა და ამ პროგრამების დამტკიცება.

მორიგი მსხვილი ცვლილებები ეროვნულ ფრანგულ სტანდარტიზაციაში მოხდა 1991 წ. ეს გამოწვეული იყო საერთაშორისო, უპირველეს ყოფლისა,

ევროპულ სტანდარტიზაციაში მომხდარი ცვლილებების ადაპტაციის აუცილებლობით, რომლებიც დაკავშირებული იყო გაერთიანებული ევროპის შექმნასთან.

ამ დროისათვის უკვე იყო განხორციელებული ეროვნული სტანდარტიზაციის მდგომარეობის ანალიზი და გამოვლენილი იყო რიგი ნაკლოვანებები, მათგან, ყველაზე არსებითი, მრეწველობის სამინისტროს აზრით, იყო საწარმოებისა და სხვა პოტენციურად დაინტერესებული მხარეების სუსტი ჩართვა სტანდარტების შემუშავების პროცესში და სტანდარტიზაციის პროცესის მონაწილეებს შორის საჭირო კოორდინაციის არქონა ქვეყანაში. ჩამოყალიბებულ იქნა მომავალი წლების ძირითადი ამოცანები: მცირე და საშუალო საწარმოების სტანდარტიზაციაში მონაწილეობის აქტივიზაცია და მათი სტიმულირება საგადასახადო შედავათებით; ეროვნული სტანდარტიზაციის სისტემის პროცედურების გამარტივება და ამ საქმიანობის კოორდინაციის გაძლიერება; ფრანგი სპეციალისტების მონაწილეობის გაფართოება ეროვნულ სტანდარტიზაციაში და სხვა.

1991 წელს ჩატარებული რეფორმის შედეგად შეიცვალა თვით სტანდარტიზაციის ეროვნული ორგანიზაციის ორგსტრუქტურაც. **AFNOR**-ის ორგსტრუქტურა გადახედულია მისი უდიდესი შესაბამისობის მიზნით ძირითადი სამუშაოების შესრულებასთან. მიღებულია სამდონიანი სტრუქტურა: სტანდარტიზაციის უმაღლესი საბჭოს ნაცვლად – ორიენტირებისა და დაგეგმარების კომიტეტი; ეკონომიკის დარგში სტრატეგიული დაგეგმარების კომიტეტი, ხოლო ყოველი პროგრამის ფარგლებში – გენერალური კომისიები. **AFNOR**-ს სათავეში უდგას ადმინისტრაციული საბჭო, რომლის მუდმივი წევრები არიან სამინისტროების წარმომადგენლები. ამის გარდა, გენერალური ასამბლეა თავის რეგულარულ კრებებზე ირჩევს ამ საბჭოს წევრებს გარკვეული ვადით.

ადმინისტრაციული საბჭო ირჩევს ასოციაციის პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს (ადმინისტრაციული საბჭოს ბიურო). რეორგანიზაცია მიმართულია არა მთავრობის ზეწოლის გაძლიერებზე, არამედ სტანდარტიზაციის ორგანოებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთგაგების შემდგომ განვითარებაზე.

საფრანგეთის სტანდარტიზაციის ეროვნულ სისტემაში **AFNOR**-ის მეთოდური ხელმძღვანელობით მოქმედებენ სტანდარტიზაციის დარგობრივი ბიუროები (30-ზე მეტი). მათ ქმნის **AFNOR**-ის ადმინისტრაციული საბჭო, ხოლო ამტკიცებენ მართვის სახელმწიფო ორგანოები. დარგობრივი ბიუროები ასრულებენ დარგებში ძირითად დატვირთვას სტანდარტიზაციის სფეროში, მაგრამ მაინც ყველა დარგს გააჩნია სტანდარტიზაციის ბიურო.

თუ მსგავსი დარგობრივი სამინისტრო ღებულობს გადაწყვეტილებას სტანდარტიზაციის დარგში სამუშაოების ჩასატარებლად, მაშინ **AFNOR** ქმნის სპეციალიზებულ კომისიას სამრეწველო საწარმოების, სამეცნიერო – კვლევითი და ტექნიკური ცენტრების, მომხმარებელთა საზოგადოების წარმომადგენლებიდან, რომელიც ითვლება ძირითად სამუშაო ორგანოდ.

ეროვნული სტანდარტის მომზადებისა და მიღების პროცედურა გადის შემდეგ ეტაპებს:

- სტანდარტის მოთხოვნის შესწავლაზე მიმართული კვლევები და სამუშაოების დაგეგმარება;

- სტანდარტიზაციის ბიუროებში ან კომისიებში ექსპერტთა ჯგუფების მიერ სტანდარტების შემუშავება;
- სტანდარტის განხილვა და შეფასება ეროვნულ ასოციაციაში;
- სტანდარტის დამტკიცება AFNOR-ის პრეზიდენტის მიერ;
- რეგისტრაცია და პუბლიკაცია.

მოთიანი პერიოდი შემუშავებიდან პუბლიკაციამდე მოიცავს 1 – 1,5 წელს.

საფრანგეთში სტანდარტიზაციის სამუშაოების ძირითად პრინციპად ითვლება პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდის გამოყენება; დღეისათვის რეალიზებულია 19 გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამა, რომლებიც მიმართულია ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა დარგების პრიორიტეტული ამოცანების გადასაჭრელად. ამასთან პრიორიტეტებად საერთაშორისო სტანდარტიზაციაში აღიარებულია ინფორმაციული ტექნოლოგიები, ევროპულში – ტრანსპორტი და ტელეკომუნიკაციები, ხოლო ეროვნულში – ეკოლოგია, უსაფრთხოება და აგროსამრეწველო წარმოება.

AFNOR-ის მუდმივ შტატში ითვლება 400-დე თანამშრომელი, მაგრამ სამუშაოებში ჩაბმულია ექსპერტებისა ან კონსულტანტების სახით 25 ათასამდე სხვადასხვა ორგანიზაციის, საწარმოს, სამეცნიერო ცენტრების, ლაბორატორიებისა და ა.შ. სპეციალისტი.

დაინტერესებული სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციები შეიძლება გახდნენ AFNOR-ის კოლექტიური წევრები. მონაწილეობის ხარისხის მიხედვით შეიძლება იყვნენ ასოცირებული, სრულუფლებიანი და საპატიო წევრები. AFNOR-ის საქმიანობაში პრობლემურ მომენტად ითვლება ფრანგული ფირმების საკმაოდ სუსტი მონაწილეობა. 30 ათასზე მეტი ეროვნული ფირმიდან მის წევრებს წარმოადგენენ მხოლოდ 6 ათასი. მიზეზად, სპეციალისტების აზრით, ითვლება AFNOR-ისა და სტანდარტიზაციის სარგებლობის შესახებ, ფირმების არასაკმარისი ინფორმირება, თუმცა თვით ასოციაციის ინფორმაციული საქმიანობა საკმაოდ ინტენსიურია და არ შემოიფარგლება სტანდარტების გამოცემით. გამოიქვეყნება აგრეთვე ცნობარები, სახელმძღვანელოები, ინსტრუქციები, ყოველწლიურად გამოდის ფრანგული სტანდარტების საძიებელი, ყოველთვიურად – ჟურნალი სტანდარტიზაციის პრობლემებზე “Enjeux”. ჟურნალში ქვეყნდება მასალები ფრანგული და საერთაშორისო სტანდარტიზაციის შესახებ, ცნობები სტანდარტების გადახედვისა და გაუქმების შესახებ, ახალი ნორმატიული დოკუმენტების პროექტების შესახებ, როგორც ეროვნული, ასევე ევროპული.

AFNOR-თან შექმნილია საინფორმაციო და საგამოფენო ცენტრი “Espace”, რომელიც კონსულტაციას უწევს და წარადგენს ინფორმაციას სტანდარტიზაციის ნებისმიერ საკითხებზე. ცენტრს გააჩნია სპეციალიზებული ლიტერატურისა და სტანდარტების ვრცელი ფონდი, რომლის ყიდვაც ადგილზეა შესაძლებელი. ამის გარდა, AFNOR-ის სტრუქტურაში არსებობს საინფორმაციო ქვედანაყოფი, რომელიც აკმაყოფილებს, როგორც შიდა, ასევე გარე მოთხოვნებს. ეს სამსახური ასრულებს შეკვეთებს ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებსა და შესაბამისობის ნიშნებზე ცნობების ძიებასთან დაკავშირებით და ა.შ. საშუალოდ წლის განმავლობაში აქ შემოდის 90 ათასამდე შეტყობინება, რომლებიც კმაყოფილდება, როგორც აბონენტური მომსახურებით, ასევე ექსპარსიანი სატელეფონო კავშირის საშუალებით.

**AFNOR**-ის საინფორმაციო ქვედანაყოფი განაგებს რამოდენიმე მონაცემთა ბანკს. მათ შორის ყველაზე პოპულარულია **NORIANE**, რომელიც მოიცავს 45 ათასზე მეტ ცნობას ეროვნულ, საერთაშორისო და საზღვარგარეთის სტანდარტებსა და ტექნიკურ რეგლამენტებზე. 80 – 90 წლების განმავლობაში **AFNOR** აქტიურად მონაწილეობდა დარგობრივი მონაცემთა ბანკების შექმნაში.

1987 წლიდან ასოციაციაში შექმნილია ახალი სამსახური – მარკეტინგის ქვედანაყოფი, რომლის ამოცანას წარმოადგენს **AFNOR**-ის წევრების ინფორმირება ბაზარზე ცვლილებების შესახებ (სასაქონლო და ფირმული სტრუქტურა, მოთხოვნები და წინადადებები, კონკურენციის ხარისხი და ფორმები, სამომხმარებლო უპირატესობების ხასიათი და საქონლისადმი მათი მოთხოვნები და სხვა).

**AFNOR** დიდ ყურადღებას უთმობს საწარმოო ფირმებსა და საწარმოებს, რომლებიც მასთან თანამშრომლობენ. მათი შეკვეთებით ასოციაციის სპეციალისტები აწარმოებენ პერიოდულ კვლევებს სტანდარტიზაციის სამსახურების შესახებ. აღნიშნული კვლევის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს სტანდარტიზაციის განყოფილებების არსებობა და ორგანიზება, ხელმძღვანელობის მონაწილეობა მათ საქმიანობაში, კონკრეტული სტანდარტების გამოყენების პრობლემები, საწარმოების ურთიერთდამოკიდებულება პარტნიორებთან და ა.შ. კვლევის შედეგების მიხედვით საწარმო იღებს კვალიფიცირებულ რეკომენდაციებს.

საწარმოებისადმი (ფირმებისადმი) მეთოდური დახმარების გაწევის სხვა ფორმებს წარმოადგენს: ექსპორტიორებისათვის დახმარების გაწევა **NOREX**-ის სპეციალური ქვედანაყოფების მიერ; სტაჟირებისა და სემინარების ორგანიზება სტანდარტიზაციისა და ხარისხის აქტუალურ პრობლემებზე; საწარმოებისათვის ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მიწოდება კონკრეტული თემატიკის მიხედვით (წარმოების სისტემები, პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემები; საწარმოს კომერციული საქმიანობის ეფექტურობა და ა. შ.).

სტანდარტიზაციის გარდა, ფრანგული ეროვნული ორგანიზაცია დაკავებულია სერტიფიცირების პრობლემებით, ფირმებისა და საწარმოებისათვის პროდუქციის სერტიფიცირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დარგში მომსახურებით. სერტიფიცირების სამსახური შედგება სამი ქვედანაყოფისაგან, რომელთა ვალდებულებაში შედის: პროდუქციის სერტიფიცირება და მისთვის ფრანგულ სტანდარტთან შესაბამისობის ნიშნის მინიჭება; საწარმოებში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შეფასება და მათთვის შესაბამისი მოწმობის გაცემა; ინფორმაციული ტექნოლოგიების სერტიფიცირება.

სერტიფიცირების სისტემა ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობაზე წარმოადგენს სერტიფიცირებას მესამე მხარის მიერ, რომლის როლსაც ასრულებს **AFNOR**. მაგრამ ბოლო წლების მანძილზე შეინიშნება დეცენტრალიზაცია შესაბამისობის ნიშნის მინიჭების საქმეში – ხარისხის სისტემების სერტიფიცირების დარგი ნაწილობრივ გადაეცემა სხვა ორგანიზაციებს, მაგალითად, ხარისხის უზრუნველყოფის ფრანგულ ასოციაციას. ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობაზე სერტიფიცირების მასშტაბებზე

მეტყველებს ის ფაქტიც, რომ პროდუქციის დასახელების 110 ათასზე მეტი მარკირებულია ფრანგული შესაბამისობის ნიშნით.

სტანდარტიზაციისა და სერტიფიცირების საკითხებით **AFNOR**-ის სპეციალისტები დაკავებულნი არიან რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ერთდროულად ეროვნული ინტერესების დაცვით.

**AFNOR**-ის მიერ ფორმულირებული სტრატეგიული ამოცანები ეხება სხვადასხვა სფეროებს. ასე, მაგალითად, ხარისხის მიხედვით – ეს არის საერთაშორისო სტანდარტების **ISO 9000** გადახედვა მათი, მცირე და საშუალო ბიზნესისა, და მომსახურების სფეროსადმი ადაპტაციის მიზნით. ამ მიმართულებით ორგანიზაცია გეგმავს თათბირებს ევროპულ, ჩრდილოამერიკულ და იაპონურ პარტნიორებთან.

ეკოლოგიური პრობლემების მზარდ გლობალიზაციასთან დაკავშირებით **AFNOR** საჭიროდ მიიჩნევს საერთაშორისო დონეზე საქმიანობის აქტივიზირებას: **SEN**-ში ფრანგი სპეციალისტები ხელმძღვანელობენ სამუშაო ჯგუფს “ნარჩენები”, **ISO**-ში – მონაწილეობენ კომიტეტის “გარემოს დაცვა და რაციონალური გამოყენება” საქმიანობაში. ამ მიმართულებებით რეალიზდება პროგრამები, რომლებიც გათვლილია, როგორც ეროვნულ, აგრეთვე ევროპულ პრობლემებზე: “ნარჩენები”, “ჰაერის ხარისხი”, “ნიადაგის ხარისხი”. აღნიშნული პროგრამების ფარგლებში იქმნება ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც ეხება პროდუქციის არსებობის ციკლის სხვადასხვა ეტაპებს. შემუშავებული ნორმების საფუძველზე ექსპერტები ამუშავებენ ტექნიკურ პირობებს პროდუქციის იმ სახეებზე, რომლებსაც ჯერ არა აქვს გავლილი ეკოლოგიური კონტროლი შესაბამისობის ნიშნით “**NF Environnement**” ნიშანდებაზე.

სასოფლო – სამეურნეო პროდუქციის სფეროში შეინიშნება გადასვლა დარგობრივი ნორმატიული დოკუმენტებიდან ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო სტანდარტებზე. საფრანგეთისათვის ეკონომიკის აგროსამრეწველო სექტორის საქონელი – ექსპორტის მნიშვნელოვანი შემადგენელია, და **AFNOR** სტანდარტიზაციის სტრატეგიული მიმართულებების დადგენის კომიტეტის სახელით განსაზღვრავს სტანდარტიზაციას ამ დარგში. გამორჩეული მიზნების რეალიზაციის შედეგად მკვეთრად გაიზარდა საფრანგეთის ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობის ნიშნით ნიშანდებული კვების პროდუქტების რაოდენობა. უპირველესად ეს ეხება ხორცს და ხორცპროდუქტებს, თევზის პროდუქტებს, მარცვლეულ კულტურებს და ზოგიერთ საგემოვნო დანამატებს (მღოვავი, ძმარი). ეროვნული სტანდარტიზაციის ამოცანები რაც შეიძლება მჭიდროდ დაკავშირებულია საერთაშორისოსთან ასე, მაგალითად, ფრანგი სპეციალისტები აქტიურად მონაწილეობენ **CEN**-ის კომიტეტის “ზეთოვანი კულტურები და მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ცხიმები. ანალიზის მეთოდები” მუშაობაში.

სხვა დარგი, რომელშიც გაძლიერებულია ეროვნული სტანდარტიზაციის გავლენა – ინფორმაციული ტექნოლოგიებია. აქაც საერთაშორისო სტანდარტიზაციაში მონაწილეობა შესამჩნევია: **ANFOR** ერთდროულად წარმოდგენილია სტანდარტიზაციის ევროპულ ინსტიტუტში ტელეკომუნიკაციების (**ETSI**) და **ISO IEC** –ის კომიტეტში “ინფორმაციული ტექნოლოგიები”. ეს იძლევა საშუალებას, ერთის მხრივ, ამ დარგში სტანდარტიზაციის პოლიტიკაზე გავლენისა, ხოლო, მეორეს მხრივ – ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტების ჰარმონიზაციის ეფექტურად განხორციელებისათვის. ამ საქმიანობის

ეროვნული ასპექტის კონკრეტული მიზანია – ინფორმაციული ტექნოლოგიების ნორმების შესაბამისობის დადგენა ფრანგული სტანდარტების ნორმებთან და **NFTI** ნიშნის მინიჭება. ეს საკმაოდ საკირკიტო სამუშაოა, თუ ჩავთვლით სტანდარტიზაციის მოცემული ობიექტის გამოყენებით ხასიათს. უახლოეს ხანში **AFNOR** გეგმავს ინფორმაციული ტექნოლოგიების დაჩქარებას შემდეგ დარგებში: მასმედის საშუალებები, სამოქალაქო მშენებლობა, ოფისის დოკუმენტირება.

როგორც სხვა ქვეყნებში, **AFNOR**-ის მნიშვნელოვანი პერსპექტიული მიმართულებაა – მომსახურების სფერო და პირველ რიგში, მოთხოვნები ხარისხზე და კონკრეტული სახის მომსახურების უსაფრთხოება (ავტოსერვისი, ენერგოუზრუნველყოფა, რიტუალური მომსახურება და სხვა).

სტანდარტიზაციის ყველა მიმართულებისათვის ზოგად პირობად ფრანგული ეროვნული ორგანიზაცია თვლის ეფექტური საქმიანი კავშირის დამყარებას ნორმატიული დოკუმენტების მომხმარებლებთან – ყველა ეკონომიური სექტორის სამრეწველო წარმომადგენლებთან.

პრაქტიკაში ეს რეალიზდება, პირველ რიგში, მათი მონაწილეობით ტექნიკური კომიტეტების საქმიანობაში და სტანდარტების პროექტების მომზადებაში.

ქვეყნის ეკონომიკაში სტანდარტიზაციის როლის გათვალისწინებით, **AFNOR**-მა შექმნა ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობის ნიშნის ახალი ვარიანტი: **NF**-ს ნაცვლად – ორგანიზაციის სრული აბრევიატურა, რომელიც გაფორმებულია სიმბოლური გრაფიკული გამოსახულებით. ასეთი ნაბიჯი, ალბათ, შეიძლება განხილულ იქნას სასერტიფიკაციო და სასაქონლო ნიშნების გაძლიერებული კონკურენციის ასპექტში ერთიანი ევროპული ბაზრის პირობებში, როგორც სწრაფვა ფრანგული ეროვნული ნიშნისათვის ახალი უღერადობის მისაცემად. ამ მიზნით შექმნილია კლუბი “**NF**”, რომლის შემადგენლობაში შედიან ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლები.

ფრანგული სამრეწველო წრეები ისივ, როგორც მთავრობა, მუდმივ დახმარებას უწევენ ეროვნულ სტანდარტიზაციას. ორგანიზაციების ექსპერტიზიდან, გამოცდებიდან, სერტიფიცირებიდან, აკრედიტაციიდან, პუბლიკაციების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენენ ფრანგული ეროვნული ასოციაცია **AFNOR** – ის სტანდარტიზაციისა და საქმიანობის სხვა მიმართულებების ფინანსირების რეალურ წყაროებს.